№ 212

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 212

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

ТЕЛЕГР. КОНТ.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაფიც ვექილის თანაშემწე
გიორგი ბექანის ძე
გვაზავა
ვღებულობ საწარმოებლად სასამართლო საქმეებს, **სისხლის სამართლისას**, განსაკუთრებით.
ადრესი: გოლოვინის პროსპექტი თ. მუხრან-ბატონის სახლი.
ჩემი ნახვა შეიძლება:
დილით 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
(5—ნ.—1)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—4)

გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება განსახილველად საგნებისა:

1. მომავლის წლის სმეტა.
2. მოხსენება თეატრის შესახებ.
3. ამორჩევა გამგეობის ორის წევრისა და სამის კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და ორის კანდიდატისა.

(3—რ—3)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების"
დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ვ. ავალიშვილისა, ვ. აბაშიძისა, კ. ყიფიანისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ცხოვრების მეჯლისზე
დრამა 4 მოქმედ. თარგ. კ. ნასიძისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ბეზირგანოვისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად: „სამეფო ტახტისათვის" ანუ „იაკობელები" დრ. 5 მოქ. ფ. კოპპესი.

ვლ. ალექსეევ-მესხიევი.

ახალი ამბავი

—

⁂ დღეს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი დრამა თარგმ. კ. ნასიძისაგან „ცხოვრების მეჯლისზედ". წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს პირველად ამ სეზონში ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გაზეთ „მეურნის" გამომცემელს, ი. მ. ჰყონიას, უარი მოსვლია გაზეთის პროგრამის გადიდების თხოვნაზედ.

⁂ გუშინ, სამს ოქტომბერს, დილით, რიყის მახლობლად მტკვარში დაირჩო ვიღაც კაცი, რომელიც ცხენებს აბანავებდა.

⁂ პირველ ამ თვისას დღეობა იყო სომეხთა შავნაბადის წმ. გიორგის ეკკლესიისა, რომელიც ტფილისიდგან რამდენისამე ვერსის სიშორეზედ მდებარეობს, თელეთის მთის ბოლოზედ. ამ დღეს აქ მრავალი ხალხი მიდის ქალაქიდგან თუ სოფლებიდგან სალოცავად,—როგორც სომხობა, ისე ქართველობაც. მაგრამ ამ დღეს ხალხი ნაკლებად დაესწრო, რადგანაც წელს მცხეთობაც ამავე დღეს იყო და ავდარმაც ხელი შეუშალა.

⁂ ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელს ისევ დაუბრუნდა სისუსტე და უძილობა.

⁂ დუშეთიდგან გვატყობინებენ, რომ ამ ბოლო დროს ძალიან მხნედ ეკიდება თურმე ადგილობრივი ადმინისტრაცია ქალაქის რიგიანად მოწყობის საქმეს. სულ ამ მცირე ხნის განმავლობაში გაკეთდა ქალაქის წყარო, რომელიც დღემდის სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვებული და ერთი წუმპე-ტალახი იდგა მუდამ მთელს მისს მახლობელს მიდამოში; გაკეთდა დუშეთის ხიდი, რომელსაც „ივერიის" მკითხველნი კორისპონდენციებიდამ უკვე იცნობენ და რომელმაც არა ერთხელ იმსხვერპლა სხვა-და-სხვა საქონელი. ეს ახალი ხიდი საკმაოდ მაგარია და იმედია კარგა დიდხანს გაუწევს სამსახურს ქალაქს, რადგანაც სულ მუხა აქვს ნახმარები; გასწორდა, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო დუშეთის ოღრო-ჩოღრო გზები და ფარნებიც მოემატაო.

⁂ იქიდგანვე: მაზრის უფროსს ჩიხოვსკის, რომელიც ორის თვით პეტერბურგში იყო დათხოვნილი, უკვე მოველით; დიდის მადლობის ღირსია მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ცისკარაშვილი, რომელსაც ეკუთვნის ზემოდ ჩამოთვლილი ქალაქის განკარგება, და იმედია უფრო წინდა-წინ წასწევენ დღემდის უკან ჩამორჩენილს დუშეთსაო.

⁂ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ამიერ კავკასიისა და კასპის იქითა მხრის საბაჟო გარდასახადთა გამგემ წარმოგზავნა ბრმათა სამზრუნველო განყოფილების საბჭოში 465 მან. და 19 კ. რომელნიც შეუგროვებიათ: ცენტრალურ მმართველობაში, ტფილისში,—25 მ. 45 კ. პირველ საოლქო სამმართველოში ტფილისში—29 მ., ზედამხედველთა თანაშემწეთ: გორში—26 მ. 92 კ., ახალ-ციხეს—20 მ. 90 კ., დუშეთს—14 მ., მეორე საოლქო სამმართველოში ბათუმში—80მ., ზედამხედველთა თანაშემწეთ: ფოთში—21მ. 7 კ., ქუთაისში—25 მ. 60 კ. და 6 მ., სუხუმში—14 მ. 40კ., მესამე საოლქო სამმართველოში ბაქოს—26 მ. 35 კ., შემახაში—2 მ., დერბენტში— 5 მ. 8 კ., თემირ-ხან-შურაში—3 მ. 15 კ. მეოთხე საოლქო სამმართველოში ერევანში—17 მ. 71 კ., ნახიჩევანში—1 მ. 25 კ. მეხუთე საოლქო სამმართველოში შუშაში—11მ. 10 კ., ზედამხედველთა თანაშემწეთ კაზახში—6მ. 60 კ., მეექვსე საოლქო სამმართველოში სიღნაღში—25მ., ზედამხედველთ თანაშემწეთ თელავში—19 მ. 42 კ., ზაქათალში—4 მ. 71 კ., მეშვიდე საოლქო სამმმართველოში, ბაქოში—2 მ., მერვე საოლქო სამმართველოში, ბათუმს—12 მ. და ქალაქ ასხაბათში—4 მ. 44 კ., აცხადებს-რა ამას საჯაროდ კავკასიის განყოფილება ბრმათა სამზრუნველოსი, დიდს მადლობას უძღვნის, როგორც ყველა ჩამოთვლილ დაწესებულებათა და პირთ საბაჟო უწყებისა, აგრეთვე ყველას, ვინც ამ დაწესებულებათ შესწირა ფული.

კორესპონდენცია.

—

გორი. მკათათვის 25-ს გორში დროებით მოსულმა ოლქის სასამართლომ გაარჩია ს. ერედვში მცხოვრებელ ფავლენიშვილების საქმე. ვისაც აწინდელი ჩვენი არევ-დარეული ცხოვრებისათვის თვალ-ყური უდევნებია, იმას კარგად ეცოდინება ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა, რომელიც გადამდები სენივით მოსდებია მთელი საქართველოს წარჩინებულ გვარეულობათ და შეუბრალებლად ეზიდება მათ უბადრუკ-უგუნურ წარმომადგენელთ სადღაც ჯანდაბისაკენ. ეს გახლავთ მოძმე-ნათესავთა შორის დაუსრულებელი დავი-დარაბა და ამის გამო დაუნდობელი, დაუძინებელი მტრობა მათ შორის. მიზეზად ამ გვარ სავაგლახო ურთიერთობისა ხშირად მამულის გაუყოფ-

ფელეტონი

—

ცხოვრება და ხელოვნება.

V

ვარიპანიძიანთ ნინო. მოთხრობა არ. ლეისტისა, „მოამბე" II, III, IV, 95 წ.

დასასრული *)

სიბრალული და შენდობის სურვილი დიაღ საქადაგებელი გრძნობაა და მიუცილებელია კაცთა შორის ურთიერთობისა და თანხმობის და სამკვიდრებლადა და განსამტკიცებლად. ხოლო ყოველივე გრძნობას თავისს შესაფერს დროს უნდა ხმარება და სადაც ამ გრძნობას ადგილი არა აქვს, იქ სარგებლის მაგიერ ზარალი მოაქვს.

ვარიპანიძიანთ ნინომ ქმარს უღალატა თავისი კაპრიზების დასაკმაყოფილებლად, ბატონ გარელს სიამოვნება მიანიჭა და საშუალება მისცა ცუდ სენს ასცდენოდა, ხოლო თავისს ქმრის სახელს ჩირქი მოსცხო. განვიხილოთ, აქ როგორ მოიხმარება სიბრალული და სულ-გრძელება.

ღალატისათვის, სახელის შებღალვისათვის, უწინდელი მხეცური ბუნება გვქონდეს, კაცს სიკვდილს არ ავაცილებდით. „მხოლოდ სისხლი მორეცხავს პატიოსნებაზედ წაცხებულს ტალახსაო", ამბობდნენ რაინდები. დღეს-კი იმოდენაზედ საზოგადოებრივი გრძნობით ვართ გამსჭვალული, მეცნიერებით გონება განათლებული და სარწმუნოებით გულგანსპეტაკებული, რომ ადვილად შესაძლებელია კაცს მადლობაც ვუთხრათ დანაშაულობისათვის და მით უფრო შევარცხვინოთ. ეხლა, ამ შემთხვევაში არც ტყვიას იხმარს ვინმე და არც დანას, კიდევ მეტი, დაცემულ ზნეობით არსებას, რომელმაც მოგანიჭათ საუკუნო ტანჯვა, შეიძლება ხელი გაუწოდო სიბრალულისა, რჩევა მისცე და მოეხმარო სიბინძურიდგან ამოვიდეს, ხოლო ხელახლა კიდევ მასთან შეერთებას არავითარი საფუძველი არა აქვს. ერთხელ გატეხილი რამ ძნელად თუ ისე გამთელდეს, რომ გაბზარული მაინც არ დარჩეს. მერე კიდევ, თუ ქალი ღალატობს და გული ეცვლება ქმარზედ, ეს უნდა იყოს გამოწვეული ან მაღალის გრძნობით და მაშინ შენდობა რაღა შუაშია, თვით აღარ უნდა იკისროს ქალმა და არც კაცმა ერთად ცხოვრება; ან და კაპრიზებისა და ქალის ცუდი დაუდგრომელი ხასიათის ბრალია, მაშინ რაღა ნაირად უნდა ენდოს გაბიაბრუებული მეუღლე მეორეს, რა საფუძველი აქვს თავისი ცხოვრება ასეთის არსების გულსა და სულზედ დაამყაროს? ეს სიბრალული-კი არა, სენტიმენტალური სილაჩრეა. ლევანჩიგანი (ნინოს ქმარი) ამ შემთხვევაში ასე უნდა მოქცეულიყო და ეს იქნებოდა სწორედ რიგიანი მოქცევა: რა-კი ცოლი დაითხოვა, რამე რჩევა მიეცა და რიგიან გზაზედ დაეყენებია და თუ ღარიბი იყო შემწეობაც მიეცა, ხელახლა შეუღლება-კი არა-თუ მადლი, ცოდვა არის და იქნებოდა. ცხოვრება სახუმრო და სათამაშო არ არის, იგი სერიოზული რამ არის და სერიოზულად უნდა თავის დაჭერა ცხოვრებაში. სისასტიკე ადამიანური და არა მხეცური ცხოვრებისათვის ისეთივე მიუცილებელია, როგორც სიბრალული. ერთხელ ჩადენილი ცოდვის წილ, აკი ვთქვი, იქნებ კეთილი მიუზღო დამნაშავეს, მაგრამ იმ ცოდვას მაინც თავისი შედეგი რამე მოსდევს. ერთხელ დარღვეული პირობა და ისეთი მძიმე პირობა, როგორიც ცოლ-ქმრობის კავშირია, ძნელად თუ განახლდეს. მისი განახლება უფრო კეკე-მალულობის თამაშობაა.

გარდა ამისა, ლოგიკური ვარჯიშობისათვის-კი არ უნდა შევქმნათ მორალური ტეზისები, არამედ ამ ქვეყნის მწარე ცხოვრების საუკეთესოდ მოსაწყობად. აბა მიბრძანეთ ერთი, რა შედეგი უნდა ექმნეს იმ მოძღვრებას, რომელიც მოღალატე ცოლებისათვის, თუ ქმრებისათვის სულ ერთია, შენდობას თხოულობს, ამ შენდობას მოვალეობად ადებს მეორე მეუღლეს, და ამით თითქო წინდაწინვე „ხსნილ ქმნის" მრუშ მეუღლეს. შეიძლება პლატონის მოძღვრების მიმდევარი ბრძანდებით და მაშინ რაღა ღალატია და რის ღალატი? მხოლოდ თუ მეუღლეთა შორის ერთგულება, სიყვარული და ერთობა მიგაჩნიათ დღეს მაინც საუკეთესო საფუძვლად ოჯახისა და საზოგადოებისა, მაშინ ასეთს ტეზისებს თავი უნდა დაანებოთ.

ნურც იმას იფიქრებთ, რომ ჩვენ სისასტიკეს ზნეობისას თვით ადამიანობას ვსწირავდეთ. არა, ჩვენგან მოთხოვნილი სისასტიკე ამ შემთხვევაში ღრმა ფსიხოლოგიურ მოსაზრებაზედ არის დამყარებული. სიტყვით შეიძლება ასეთი სიბრალულით გამოწვეული შენდობა და სულითა და გულით მისი ასრულება-კი შეუძლებლად მიგვაჩნია. ასეთ ვაჟ-ბატონებს გულში ყოველთვის რჩებათ რაღაცა. რაღაცა უცნაური ჭია ღრღნის მის გულს და თავისს დღეში არ ავიწყდება მეუღლის დანაშაული. ამის შედეგი-კი ის არის, რომ მათ შორის თავისს დღეშიაც ვეღარ ხერხდება ის მტკიცე კავშირი, ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც არათუ ცოლ-ქმრობის ყოველგვარი მეგობრულის კავშირის ბურჯია. აიღეთ ზემოდ მოხსენებული რომანი მარგერიტისა (La tourmente) და იქ ნახავთ, თუ რა ცხოვრება აქვთ ცოლ-ქმარს ამნაირი შენდობის შემდეგ, რა ტანჯვით სავსეა და რა უგემურია მათი ცხოვრება. პოლ-მარგერიტი სწორედ იქიდგან იწყებს, საცა ლეისტი ათავებს, ე. ი. აღვიწერს სულის მდგომარეობას ქმრისას მას შემდეგ, რაკი ცოლს აღიარებული და შენანებული ცოდვა შეუნდო, გვიჩვენებს მათ შორის განწყობილებას და მათის მდგომარეობის აუტანელობას. პოლ-მარგერიტს ერ-

---

*) იხ. „ივერია" № 211.

ლობა ხდება ხოლმე; მაგრამ ამასთანავე არა ერთხელ თვით უბრალო პირადი შეურაცხყოფაც გამოიწვევს ხოლმე ამ ამბებსა. ნაცვლად იმისა, რომ ყოველს ამგვარ შემთხვევაში გამოიჩინონ სულ მცირეოდენი სულგრძელობა და დარბაისლობა: დაუთმონ და აპატიონ ერთმანეთს თავიანთი შეცოდებანი; ან არა და, მიჰმართონ ორ პატიოსან კაცს და მათ სინიდისზედ მიაგდონ საქმის გარჩევა, ნაცვლად ამისა იგინი იმავე წამს ბალღებივით გაწიწმატდებიან, წამოავლებენ იარაღს ხელსა და ცოფიან პირუტყვებივით დაერევიან ერთმანეთს. საკვირველი აქ კიდევ ის არის, რომ უცხო საზიზღარ წურბელას უფრო ბევრს მოუთმენენ, აპატივებენ, ვიდრე თავიანთ სისხლსა და ხორცსა; ვიდრე, ხშირად, თავის საკუთარ ძმასა და ნათესავს!. გადამთიელი რომ მთელს საცხოვრებელს ართმევდეს, „იგი უბედურათ იკაკვება წელშია და მიწასთან გამასწორებელ თხოვნა-მუდარების მეტს ვერაფერს ვერ ახერხებს, და თუ მოძმემ ერთი მტკაველი, სრულიად გამოუსადეგარი მიწა როგორმე თავისთვის დაიჩემა, მაშინ ის მამაპაპეულ ამპარტავნობით იბერება, პირიდგან ცეცხლს აფრქვევს და „თავისს მტერს" ან მოჰკლავს, ან ზედ შეაკვდება!!. ამ სამარცხვინო და უბედურის ჩვენი ხასიათის გამო, ვინ მოსთვლის რამდენი ქართველი კაცი უდროოდ მოშორებია სამშობლო ქვეყანას და ხშირად სრულიად წუთი სოფელსა!.. ვინ ასწერს, რამდენი დოვლათით სავსე ოჯახი სრულიად დაღუპულა: საძაგელი მოვახშეების უკუღმართ ხელში ჩავარდნილა და გაჩაღებულ მამა-პაპეულ კერაზედ საუკუნოდ დასხმია წყალი. ამ ამბებს ყველა ჰხედავს, ყველა წყევლა-შეჩვენებით იხსენიებს, მაგრამ დასასრული მათი არა თუ არსად არა სჩანს, გაცხარებული ზუზუნია ჰაერში. მოხვდა ტყვია გიგუცა ფ—შვილს და ყბა მიმტვრეული მიაწვინეს გვერდზედა; მოხვდა მეორე ტყვია აწ განსვენებულს იოსებ ფავ—შვილს და ფეხ მოტეხილი დასცეს დედა-მიწაზედ. სხვილი საფანტით დაჭრილი ბესარიონ ფავ-ლიც მალე მიუწვა გვერდით იოსებსა. გლეხებმა აიღეს მუშაობაზე ხელი და საჩქაროდ მიიმალ-მოიმალნენ ტყეში. ტყის სულგრძელმა მეგობრებმა ახლა-კი იკადრეს ცულების ხელიდამ გაშვება. წამოიყვანეს სასიკვდილო ბრძოლის ველიდამ დაჭრილ-დაკოდილნი და წაპრძანდნენ შინისკენ. რაღა თქმა უნდა, აქ მთავრობა ჩაერია საქმეში და ორმა ფავლენიშვილმა: ისიკომ და ილიკომ სისხლის სამართალში ამოჰყვეს თავი.

—

აი სწორედ ეს საქმე გაირჩა გუშინ ოლქის სასამართლოში. ორთავე მხარეს მრავალი მოწმები ჰყავდათ მოყვანილი და ყველა ეს მოწმები მათი დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ. ამიტომაც ერთნი რომ ვასილ და გიგუცა ფ-ლებს ამართლებდნენ, მეორენი ასიკოს უჭერდნენ მხარსა და დამნაშავეთ გამოჰყავდათ პირველები. ერთი და იმავე საგნის შესახებ ერთნი იძახოდნენ—შავიაო! ხოლო მეორენი თეთრიო; და ესეთი ხალხი არამც უთ მცირდება,—არამედ უფრო და უფრო ძლიერდებიან იგინი და, უამისოდაც დაძაბუნებულს ერს შეუბრალებლად უგრეხენ კისერსა!. ნუ-თუ ამ საზარელ, დიდად მავნებელ გარემოებათ არსაიდგან არ წაევლებათ ხელი!. არსაიდგან არა ეშველებათ-რა?!.

—

მოხსენებულ ფავლენიშვილებსაც მამულის გამო მოუხდათ ამ ოთხის წლის წინად თოფ-იარაღით შეტაკება. 1891 წელს ენკენისთვის შუა რიცხვებში ვასილ და გიგუცა ფავლენიშვილებმა წაიყვანეს სამოცამდე თავიანთი დროებით ვალდებულნი გლეხნი და ს. სარაბუკის ახლო იწყეს ჩეხა, რაღა თქმა უნდა, ტყისა. ეს ტყე ყოფილიყო საერთო და ამის გამო ისიკო და ილიკო ფავლენიშვილები მაშინათვე ფეხზედ დამდგარიყვნენ: მოეწვიათ ამათაც თავიანთი გლეხები და თოფებით გაქცეულიყვნენნიმ ადგილას, სადაც იჩეხებოდა ტყე. ამათ რამდენჯერმე მიეგზავნათ კაცები: ნუ სჩეხავთ საერთო გაუყოფელ ტყესა, თორემ სისხლი მოგვიხდება ერთმანეთშიო, მაგრამ პირველთ ამ კაცებისათვის არა თუ არავითარი ყურადღება არ მიექციათ, არამედ თოფიც ესროლათ და ერთი მათგანი დაეჭრათ ფეხშია. მაშინ ახლად მისულ ფავლენიშვილებსაც გადმოუღიათ თოფები და ჰერი, ბიჭო!... დაიწყო საფანტმა და ტყვიამ არა, თეთრიაო! იქვე სასამართლოში ცხადად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უბედურ მოწმებს ალაპარაკებდა შიში და არა სინიდისი. აქა ცხადდება მესამე საზარელი შედეგი მებატონეთა შორის დავიდარაბის ჩამოვარდნისა. მამულის პატრონი ნიშნავს ამ მამულზედ მდგომარე გლეხს თავის მოწმად და აბა ერთი გაბედოს, არ გაჰყიდოს სინიდისი და არ უჩვენოს სასარგებლოდ თავის მებატონისა, თუნდაც რომ იგი თავით ფეხამდე მტყუანიც ბრძანდებოდეს? გულ-ხელ დაკრებილი გლეხი თავ-ჩაქინდრული მიდის სასამართლოსკენ, მიდის და თანაც უნუგეშოდ ბუტბუტებს: «დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გაჩენის დღე და საათი!.. საცა არა მგონია, მე ვიჭყლიტები!.. ვინც არა მგონია, მე მთელამს ფეხითა. ამ ჟამად ხომ სწორედ კოზაკის საქმე მამდის. მაგრამ ჯანაბას ჩემი თავი!.. ნეტა აქლემებში მაინც ვიჭყლიტებოდე". მიდის და მოსამართლეთა წინაშე სასოწარკვეთილებით ამოიძახის, რაც ჩასძახა მას თავისმა გამაბედნიერებელმა!.. ამნაირად იხრწნება ზნეობა, ჰქრება სარწმუნოებრივი კრძალვამორიდება და ამათ ნაცვლად მყარდება ჩვენს უბადრუკ ცხოვრებაში ურცხვობა, უსამართლობა და ჩირქიან ტალახში ქელვა მისი, რაც შეადგენს ღვთის მზგავსებას, ადამიანის დამამშვენებელ გვირგვინს—სინიდისს!.. საკვირველი და სამწუხაროა, რომ ასეთს საშინელს ბოროტებას მართლ-მსაჯულება არ აქცევს თითქმის არავითარს ყურადღებასა!..

—

დამნაშავეთა დამცველად ბრძანდებოდა ცნობილი ვექილი ბ. გ. ტერ-სტეფანოვი, რომელმაც, ჩვეულებრივ, წარმოსთქვა მშვენიერი, ნამდვილი ორატორული სიტყვა. მაგრამ, ჩემის აზრით, მეორე გამოჩენილი ადვოკატის, ბ. ოპოჩინინის სიტყვა თითქო უფრო ღრმა შთაბეჭდილებას, ძლიერს გავლენას ახდენს ადამიანზედ. გუშინდელი მჭევრ-მეტყველება ბ. ტერ-სტეფანოვისა უფრო ფაქტების ზედა პირს უვლიდა გარეშემო. გამორკვევა ამ ფაქტების მიზეზებისა და აქედგან მათი შედეგის ახსნა, ისე როგორც სჩადიოდა სპასოვიჩი, ანუ სჩადის ხოლმე კონი, თითქო სრულიად არ იზიდავს ჩვენის არატორის ყურადღებას. დამნაშავეთ გარდაუწყვიტეს—ჩამორთმევა ყოველის ღირსებისა და თორმეტის წლით დასახლება ტომსკის გუბერნიაში. ქვეყნის მტერი და ორგული ხედავს ამგვარს ჩვენს უბედურებას, ზნე-ხასიათის დავრდომილებას და სიხარულით ცას ეწევა! ხოლო მამულიშვილის გული სევდა-ვარამით ივსება და გულდაკოდილი იძახის: ხალხო, ძმებო, დაუფიქრდით თქვენს თავსა, გაახილეთ თვალები და დაინახეთ, რაც ხდება თქვენს გარეშემო!.. შავ-ბნელი გარემოებანი უამისოდაც ფეხ-ქვეშ სამარეს გითხრიან და თქვენ მაინც რაღათა სჭრით ერთმანეთს ყელსა?!.

ნ. ა.

ენკენისთვის 27.

—

სოფ. სალომინაო, (ქუთაისის მაზრა): ჩვენი სოფელი დიდად სახელგანთქმულია ღვინისა და სიმინდის მოსავლით, მაგრამ წელს ისე დაზარალდა ჩვენში ვენახები, რომ ვისაც ორმოცი საპალნე ღვინო მოსდიოდა, წელს ერთი საპალნეც არ მოუვა. შარშან იმდენი მოვიდა სალომინაოში ღვინო, რომ სრულიად არა ჰქონდა ფასი და რადგან იაფად იყიდებოდა, აღარც გაყიდეს აქაურებმა ღვინო იმ იმედით, რომ მერე გაძვირდებაო.

მართლაც ღვინის სიძვირე ეხლავე არის, მაგრამ ვინ გაჰყიდის, როდესაც მოსავლის იმედი არა აქვთ!.. ბევრმა უწამლა ვენახს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა და რადგან ნაცრის ნიშნები არა აქვს ვაზს, ჩვენა გვგონია ფილოქსერა უნდა იყოს.

ჩვენ სალომინაოელებს, ერთი გარემოება გვაკვირვებს: აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც საფილოქსერო დასი არსებობს და ერთხელაც არ მოსულან ჩვენს სოფელში, ან ახლო-მახლო, რომ აქაურ ვენახების მდგომარეობა გამოეკვლიათ. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ საფილოქსერო დასი ისეთს სოფლებს ათვალიერებს, რომელიც ღვინის მოსავლით ვერ შეედრება სალომინაოს და მის მახლობელ სოფლებს (როგორც მაგალითად ლეჩხუმის მაზრის რამდენიმე სოფელია) და რატომ არ ინება დასმა, რომ ჩვენებური ვენახებიც დაეთვალიერებინა?

სიმინდის მოსავალს აქამდე კაი პირი უჩანდა, მაგრამ რადგან დაჟინებული ავდრები დაიწყო და ტარო-კი დაუმწიფებელია, მოსალოდნელია, რომ სიმინდსაც ის დღე დაადგეს, რაც ღვინოს.

ჩვენში აგერ სამი თვეა, რაც ყვავანა ხველა არის. წარსულს თვეში ყვავილიც გამოჩნდა და ისე უეცრად მოედო მთელს სოფელს, რომ თუ ყოველ ოჯახში არა, უმეტეს ნაწილს მაინც თითო, ან ორი ავადმყოფი ჰყავს ამ სახადით მწოლარე. კარგი იქნება, ვისაც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, თორემ მერე გვიან-ღა იქნება.

—

თელავი, 24-ს სექტემბერს. წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს შენობის შეკეთებისათვის ყოველ წლივ სჭირდება გარეშე შემწეობა, მაგრამ შემწეობას ყოველთვის აღმოუჩენს ხოლმე საზოგადოება. აი, ამისი უტ-

---

თი მოუძებნია ამ ტანჯვის მოსასპობლად და დანაშაულისა და შეურაცხყოფილის მეუღლეთა შორის კეთილის განწყობილების დასამკვიდრებლად. ეს ის, რომ „მათ უნდა ეყვაროთ ერთმანეთი უმაღლესის, სულიერის დაძმურის სიყვარულით, რომელიც უნდა განწმენდილ იყოს ყოველივე მიწიერი მოაზრებისაგან". და ბოლოს თვითვე ვერ უთქვამს გარდაწყვეტილად, შესაძლებელია ეს თუ არა: „დარჩება ეს ოცნებად, თუ ოდესმე განხორციელდება იგი? ეს მათზეა (ცოლ-ქმარზე) დამოკიდებული", უგებს იგივე პასუხს თავისთავს, მაგრამ ამ პასუხშია თვით უარის-ყოფა კითხვაზედ, ეს ადამიანისათვის შეუძლებელია.

ამ მოძღვრების მაღიარებლად გამოდის ბ. ლეისტი თავის მოთხრობაში და მის გამომთქმელად გამოჰყავს მოხუცი ვარიპანიძე, რომელიც ტრადიციონალური ზნეობის მონებაშ-ა აღზრდილი. „სიკვდილის წინად", ალაპარაკებს მას ავტორი, „ნუგეშს მხოლოდ კეთილ საქმეში ვპოულობთ; წყარო ამ ნუგეშისა სხვების სიყვარულია, რომლისთვისაც გიშველია, დახმარებიხარ. ბევრისათვის სიცოცხლე ტანჯვაა, მაგრამ თვით უბედნიერესთაც შეხვდებათ იმისთანა დღე, როცა შეწუხებულნი სხვების შემწეობას საჭიროობენ; ნეტარ არიან მხოლოდ ისინი, რომელნიც გაჭირვებულს შველიან, თავისსა და სხვის სატკივარს ერთ გვარადა ჰგრძნობენ. თქვენც თვალები ღია გქონდეთ, რომ სხვათა შეწუხება დაინახოთ, და ყურები ღია, რომ მათივე ჩუმი კვნესა არ გამოგეპაროთ, ფუჭია ცხოვრება აგებული თავმოყვარეობაზედ, იგი გაჰქრება და წავა, როგორც მზის ჩასვლის დროს მოელვარე სხვათა კრთომა, მაგრამ კეთილი საქმე, გამშრალი ცრემლები, დაყუჩებული ტკივილი საუკუნო სახსოვრად დარჩება კაცობრიობას. კეთილნი იყავით, შვილნო, კეთილი სთესეთ და მაშინ თქვენც ჩემსავით იგრძნობთ სიცოცხლის სიტკბოებას... მწარეა, როცა შეურაცხ-ყოფას მოგაყენებს ვინმე, მაგრამ სამაგიეროდ გულ-წრფელი შენანება ამ შეურაცხ-ყოფისა ტკბილია". ასე გგონიათ დოსტოევსკი ლაპარაკობდეს, გინდა ტოლსტოი და არა ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამომწვარი ვარიპანიძე, რომელსაც ძარღვებში მეომარის სისხლი აქვს და ეხლანდელი გაცრცვნილობისა არა მიჰკარებია-რა. მოხუცი ვარიპანიძე ამ ენით თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა, იგი საქმის კაცია და ყოველივე მოქმედება წინადვე განსაზღვრული და აწონილ-დაწონილი აქვს, მას დოქტრინიორობისა და მისტიკობისა არა ესმის-რა; მის ხასიათს ამგვარი გაპრტყელებული ბაასი არ შეჰფერის. მის პირში ეს სიტყვები ერთი ორად უხერხულია და სასაცილო, ხოლო ლეისტის პირის წარმოთქმული-კი იმას გვიჩვენებს, რომ იგი ახალ მოდის მწერალ მორალისტებს ეკუთვნის, რომელნიც ზნეობრივს მხარეს მწერლობისას დიდს მნიშვნელობას აძლევენ, მაგრამ დაცემულ ზნეობის გასასწორებელ წამალს-კი კარგსა და რიგიანს ვერ იძლევიან. იმათ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ მწერლობას თავის დიადი დანიშნულება დაუბრუნეს და ხალხის გონებისა და ზნეობის განმსპეტაკებელ საგნად მიიჩნიეს.

ზევით მოგახსენეთ, რომ ავტორი განათლებულს საზოგადოებას ეხებამეთქი. უნდა ვსთქვათ, მოთხრობაში გამოყვანილი ახალგაზდობა მეტად უფერული და უხერხული რამ არის (ჩიგანი, გარელი, ექიმი ლეონიძე) თუმც ნამდვილი წარმომადგენელია დღევანდელს ცხოვრებაში გამოჩენილის ახალ-გაზდობის უმეტესობისა, რომელიც საზოგადოების მოწინავე რაზმსაც-კი მიაჩნია იდეალურად, თ. ი. ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში" დაგვიხატა მშვენიერი სურათი ამ ახალგაზდობისა (არჩილი). ამის გულის ძმა არის ლევანჩიგანიც. ერთი კარგი თვისება მათი ის არის, რომ მოსჯდომიან მამა-პაპისეულს მამულს და გაბნევის ნაცვლად კარგად უვლიან. ვიცით, რომ უმაღლესი განათლება მიუღიათ, მაგრამ ეს განათლება მეტად ვერაფრად მოუხმარიათ თუ არ ახალი მიწის სამუშაო მანქანების გამოსაწერად. საზოგადოების გონების წარმატებაში და მის ზნეობრივ ცხოვრებაში-კი მათ ისეთივე უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ, როგორც მათ მამებს, თუ გინდ იმავე მოხუც ვარიპანიძეს. საზოგადოების მოთხოვნილებაც ინტელიგენციის შესახებ უფრო შორს არ წასულა და მხოლოდ არჩილი და ლევანი მიაჩნიათ სათაყვანო გმირებად. ეს, რასაკვირველია, მოდის ბრალია და შედეგია ჩვეულებრივს გატაცებისა, იმ გატაცებისა, რომელიც გამოწვეულია ეხლანდელი მატერიალური მიმართულებისაგან და რომელსაც, მგონი, დიდი დღე აღარა აქვს. ჩვენში-კი ეხლა მას ყვავილოვანი დრო აქვს, მაგრამ სხვა ქვეყნებში უკვე დათვლილი აქვს სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ეხლა აქა-იქ ჩნდება გუნდი ნამდვილ განათლებულ ყმაწვილ კაცთა და ჩვენი მწერლების მოვალეობაა იგინი დაგვიხატონ, მათი სულის განწყობილება გამოგვიაშკარავონ; ამ მხრით ჩვენ ბევრი იმედები მოგვცა „უცნაურმა ამბავმა», რომლის დამთავრებასაც მოუთმენლად ველით.

და ბოლოს, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის მომხიბლველი სიმპატია, რომლითაც ავტორი ეპყრობა თავისი მოთხრობის გმირებს. ეს ამტკიცებს მის მაღალ გრძნობიერებას ერთის მხრით, მეორეს მხრით-კი, მე მგონია ეს სიმპატია ეკუთვნის უფრო იმ ხალხს, რომლის ცხოვრებასაც გვიწერს ბ. ლეისტი. იგი საქმით და სიტყვით ყოველთვის ამტკიცებს იმ სიყვარულსა და თანაგრძნობას ჩვენის ერისადმი, რომელიც ამ მოთხრობის ყოველს სტრიქონში მოჩანს და რომლისათვისაც ჩვენ დიდსა და უდიდეს მადლობას ვუძღვნით მას. ეს სიმპატია მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, თუ მოთხრობა მარტო ქართული ჟურნალისთვის არ არის დაწერილი.

კიტა.

ყუარი საბუთი: ქ. სოფიო სტანისლავის ასულმა განსევიჩისამ მიჰმართა საზოგადოებას, სთხოვა შეეწირათ სასწავლებლისათვის, ვისაც რა შეეძლო. 24-ს სექტემბერს ყველა შესაწირავი გამოფენილი იყო თელავის საქალაქო ბაღში. დილის ცხრა საათზედ დრუჟინის მუსიკამ აუწყა თელაველებს, რომ იწყება ლატარია-ალეგრი. გაიყიდა სრულად ათასი ბილეთი; ზოგმა ნარგები ნივთები ისევ აჩუქა სასწავლებელს. ამ ნივთებისა ას ბილეთი ახლად გაკეთებული გაიყიდა. სულ შემოვიდა 1045 მან. აქედგან ხარჯი იყო სულ 81 მან. და დანარჩენი 964 მან. გარდაეცა სასწავლებელსა. ლატარია-ალეგრი კვლავაც ყოფილა თელავში ამავე სასწავლებლის სასარგებლოდ, მაგრამ ამოდენა შემოსავალი არ გაგვიგონია, თანაც კვლავ შემოსავლის ნახევარზედ მეტი ხარჯი ყოფილა.

დიდი მადლობის ღირსია ქ. სოფიო სტანისლავის ასული განსევიჩისა, რომელმაც ასეთი შემწეობა აღმოუჩინა წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს. დიდის მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ზედამხედველი სასწავლებლისა, მასწავლებელნი ქქ. დანი წულუკიძენი, ქ. შიუკოვისა და მათი თანა მოსამსახურე ქ. ალევისა, რომელთაც არ დაიშურეს ამ საქმისათვის თავისი შრომა.

ი.

აჭარის გათათრება

(ნაამბობი ქედაში ორცველის ქართველ მაჭმადიანის შავლედ ნაკაშიძის მიერ)

აჭარაში გათათრება ლივანიდამ შემოუტანიათ. პირველად თათრობა აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებსკენ გაუვრცელებიათ, მარცხენა მხრის სოფლები-კი ისე დაუტოვებიათ. მარჯვენა მხრის სოფლები გავათათროთ და მარცხენა მხრის ხალხი თვითონ მოჰყვებაო. გათათრებულთ და ქრისტიანთ შორის ყოველ-ნაირი მეგობრობა მოსპობილა.

ერთხელ ერთი ქრისტიანი ქართველთაგანი გასულა მაჭმადიან ქართველ სოფლებში; ეს რამდენსამე დღეს ერთს სოფელში დარჩენილა, თავისს ნათესავებში, აქ ეს ბიჭი ბევრის დარიგების და თანხების მეოხებით გაუთათრებიათ. გათათრების შემდეგ ბიჭი გასულა გაღმა. ქრისტიან ქართველებს უნახავთ და უკითხავთ:

— ბიჭო, ამდენს ხანს რას აკეთებდი იმ თათრებშიო? ამან მიუგო:

— გამათათრეს, ალი დამარქვეს სახელათაო. ქართველნი გაოცდნენ და უთხრეს:

— ბიჭო, მიტომ გახველი თათარში, რომ გატიალდი? აი შეგირცხვეს კაცობა!

ეს ბიჭი სულ მთლად მოიძულეს ქართველებმა. მეტ-სახელად გახტიალდი უწოდეს. შემდეგ ცოლი შეირთო ამან, შვილებიც გაათათრა, გვარად გახტიალდი დაერქვათ; დღესაც ასე იწოდებიან. ბოლოს მარცხენა მხარეც გათათრდა; ვინც არ ინდომა გათათრება ისინი სოფელს საღორეთში წავიდნენ და იქაურ ციხიდგან იბრძოდნენ ოსმალთ წინაამდეგ.

II

ნაკაშიძეები გურულები ყოფილან. გურიაში რაღაც საქმე ჩაუდენიათ. ამათ სხვა თავადიშვილები დახოცეს; ამის გამო ამათ გადაეკიდა გურიელი. მაშინ ნაკაშიძენი სამნი ძმანი ყოფილან. ერთი ძმა ბაღდადში გაქცეულა და იქ გათათრებულა. მეორე სტამბოლში გაქცეულა და იქ გათათრებულა, ამისათვის მალე ფაშობაც მიუციათ. მესამე ძმა აჭარაში მოსულა, სოფ. ორცოში დასახლებულა. მერე ცოლ-შვილიც მოუყვანია აქ, რამდენიმე ხნის შემდეგ ესენიც გათათრებულან. ერთხელ ნაკაშიძე თავისს გათათრებულ შვილებით ერთ საცალა მთაზედ წასულა. მთიდგან ძირს გადუხედიათ და ერთი უშველებელი ტყე უნახავთ, რომელიც ხილით ყოფილა სავსე. ნაკაშიძემ რომ დაინახა ბევრი ხილი, დაიყვირა, ეს რა ბევრი კაკა არისო. ამის გამო იმ ალაგს კაკა დარქმევია; მერე იქ სოფელი გაშენებულა და სოფლისთვისაც კაკა უწოდებიათ, შემდეგ კაკაძე, ახლა კაკა-ოღლი. სოფელ ორცოში ნაკაშიძეებს დიდად უმეცადინიათ ხალხის გათათრებაზედ.

III

მერისის ხეობას მიტომ დაერქვა ეს სახელიო, რადგანაც როცა აჭარას ათათრებდნენ, ბეგები ამბობდნენ:

— ჯერ აჭარა გავათათროთ, ჯერ ეს მოვრჩეთ და მერე ისი, ანუ მერეისიო და ამისაგან დაერქვა აჭარისაგან ამ მოცილებულს ხეობას მერისიო.

IV.

ქედის ზევით, ვაიოს პირდაპირ, არის ერთი მთა, რომელსაც სახელად «ქალო ჯვარას» უწოდებენ. ეს სახელი მას ამ შემთხვევის გამო დარქმევია. ვაიოს მხარის ქართველი ქრისტიანები გათათრდნენ, დარჩნენ გაღმა მხრისა. გაღმა მხრის ქალი ერთხელ ვაიოსკენ გავიდა; იქ ეს გათათრდა და ერთ ახალ გათათრებულ კაცზედ დაინიშნა. დანიშვნის შემდეგ ეს თავიანთსა დაბრუნდა და შინ, გამოუცხადა მე გავთათრდიო. ამაზედ მთელი სოფლის ხალხი გაოცდა, რადგანაც აქეთ ყველაზედ ძნელად უფრო ქალები თათრდებოდნენ ხოლმე. ქალმა შინ რამდენიმე დღე დაჰყო და თავისი ბარგი მოაგროვა და ვაჟიანთას აპირებდა წასვლას. დედ-მამა არ უშვებდა. ესენი ეუბნებოდნენ:

— ქალო, ჯვარი დაიწერე, ქალო-ჯვარი დაიწერე, რა შენი საქმეა თათარი. ქალო პირჯვარი,—სირცხვილიაო. დედ-მამამ და ნათესავებმა საქვეყნოდ შეარცხვინეს ქალი და ყვიროდნენ, რომ ქალო ჯვარი დაიწერეო და აი ამ ადგილსაც მიტომ დარქმევია „ქალო-ჯვარა", რადგანაც ეს ამბები აქ, ამ მთაზედ, მომხდარა.

ლივანის გათათრება:

(დევესქელის ხეობაში ნაამბობი სოფ. ბეტრულის მამასახლისისაგან).

ლივანაში, ბორჩხის ზემოდ, ჩხალას ხეობაში ძველად ქალების მონასტერი ყოფილა. გათათრების დროს თათრებს მონოზნებისთვის ხმა არ გაუციათ. მღვდლები და ბერები-კი სულ გამოურეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონასტერს დასცემიან თათრები და მონასტერი მთლად გაუძარცვავთ და მონოზნებიც სულ მოუტაცნიათ; ერთი მოხუცი დედა მონაზონი-კი დაუტოვებიათ. მოტაცებული მონოზნები ტრაპიზონში გაურეკიათ და ზოგი აქ დაუყიდნიათ თათრებს და ზოგი სხვაგან. მონასტერში დარჩენილი მოხუცი მონოზანი მონასტერს არ შორდებოდა; იმან დიდი გაჭირვებმ გამოიარა, ხშირად თავ-დასხმა და გაძარცვაც, მაგრამ მაინც აქაურობას არ შორდებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ოჯახებში დადიოდა და ახალ გათათრებულ ქართველ ქალებს ქრისტიანობაზედ დარიგებას აძლევდა.

ერთ აღდგომა დღეს მონოზანმა წითელი კვერცხები შეღება, სხვა რამეები კიდევ და აღდგომა დღეს ახალ გათათრებული ქართველი ქალები დაჰპატიჟა, ქრისტიანულად მიულოცა, მათაც ქრისტიანულად მიუგეს პასუხი, რადგანაც ახლად-გათათრებულნი იყვნენ და ქრისტიანული ლოცვებისა ბევრი რამ ახსოვდათ.

ეს ამბები ლივანას ბეგმა შეიტყო. ამან მონაზონს განუცხადა, რომ მაგ ალაგს თავი დაანებე, თორემ მოგკვლენო. მონაზონმა შეუთვალა:

— სიკვდილი ყველგან დამხვდება, მე აქედგან არსად წავალ, ამ ეკკლესიას უნდა ვუპატრონო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალების მონასტერს ოსმალები დაეცნენ, მოხუცი მონაზონი მოჰკლეს და თუ რამე ჰქონდა, ისიც ყველაფერი მოსტაცეს. ამ დროს ქალებში ჩუმი ქრისტიანები კიდევ ყოფილან და ამათ ძალიან უგლოვნიათ მოკლული მონაზონი და თვით ამ ქალებსვე დაუმარხავთ მიცვალებული. ამ მონაზონის მოკვლის შემდეგ ლივანაში აღარაფერი დარჩენილა ქრისტიან ქართველთა.

ლივანაში ყველა ლაპარაკობდა ამ 30 წლის წინად, რომ მარადიდში, ბორჩხაში და ამის ზევით თავსაკვეთი კოშკები იყო გამართული და აქ თავებს სჭრიდნენ და არჩობდნენ იმ ქრისტიან ქართველებს, რომლებიც არ თათრდებოდნენო. აქ ბევრი ქალებიც დაურჩვიათ და თავი მოუჭრიათ ხოლმე და ტანი ჭოროხში ჩაუყრიათ. უწყიან, რომ ერთხელ წითურელას კოშკსაც-კი ხმარობდნენ საპატიმროთ და თავსაკვეთათ. ამის შესახები ამბები ძლიერ ბევრი რამ იციან ართვინისა და არდანუჯის კათოლიკთა მოხუცებულებმაც.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

რუსეთის ცხოვრება.

—

გაზეთები იუწყებიან, რომ სამიწათ მოქმედო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში მომავალ წლისათვის ინიშნება კრედიტი 15,000 მან. დასაკმაყოფილებლად იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც საჭიროა ფუტკრისა და აბრეშუმის მოყვანას.

—

რადგანაც ამ უკანასკნელს დროს ხშირად ჩიოდნენ ხოლმე მგზავრები რკინის გზის მრავალ უწესოებას, ამიტომ გზათა უწყების სამინისტრომ განიზრახა მიიღოს საშუალებანი ამ უწესოებათა ასაცდენად.

—

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ თამბაქოს მოსაყვან უმთავრეს ადგილებში გაგზავნა ამ საქმის მცოდნენი. ამ პირთ დავალებული აქვთ დაათვალიერონ ზემოხსენებული ადგილები და აღნიშნონ, სად შეიძლება გაშენდეს ამ მოკლე ხანში საცდელი პლანტაციები.

უცხოეთი

—

გერმანია. ორშაბათს, 2 ოქტომბერს, ბრესლავში დაიწყო სხდომები სოციალ-დემოკრატიის კონგრესისა. ამ კონგრესმა, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ძლიერ საყურადღებო საგანი: სოციალ-დემოკრატიის შეხედულება „აგრარულს საკითხზედ". კონგრესზე მრავალი ხალხი მისულა; ბერლინიდგან ყველა გაზეთებს გაუგზავნიათ კორესპონდენტები.

—

ოსმალეთი. სტამბულისა, პერისა და გალატის ეკლესიებში შაბათიდგან იმალება 1200 მდე სომეხი, რომელნიც შიშით ქუჩაში ვერ გამოსულან. ოსმალეთის მთავრობა თხოულობს, რომ ეს სომეხნი უთუოდ გამორეკილნი იქმნან ეკკლესიებიდგან, მაგრამ სომეხთა პატრიარქი უარზედ არის, პატრიარქმა შემდეგი მისწერა უცხო სახელმწიფოთა ელჩებს: „ორშაბათიდგან კონსტანტინოპოლის სომხების მდგომარეობა სრულიად იმნაირივეა, როგორც პროვინციის სომხებისა. სომხებს უნდოდათ მთავრობისთვის პეტიციის მირთმევა და ამისთვის მივიდნენ პორტასთან. ისინი სრულიად არ ფიქრობდნენ არეულობის მოხდენას. მაგრამ პორტასთან ხალხი არ მიუშვეს ძალით და ამან გამოიწვია ოსმალელთა მხრივ სომხების ცემა-ამოწყვეტა. სომხების სახლები აიკლეს, ჟლეტდნენ სომხებს პოლიციის თვალის-წინ, მაგრამ პოლიცია ამ უწესობას გულ-გრილად უყურებდა, ყოველივეს დაამტკიცებს გამოძიება. ამოჟლეტამ დააშინა ხალხი და მართლაც სომხები მრავლად იმალებიან ეკკლესიებში. სულთანი თხოულობს, რომ მე ისინი ძალით გამოვრეკო ეკკლესიებიდგან. მაგრამ როგორ გამოვრეკო ეს უბედურნი თავისს თავშესაფარიდგან, როდესაც ვიცი რა მოელის მათ?!". ამის გამო პატრიარქი სთხოვს ელჩებს შველასა, სთხოვს მიიღონ ღონე წესიერების დაცვისათვის, დამნაშავეთა დასჯისათვის და დატუსაღებულ სომეხთა განთავისუფლებისათვის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

კვალის უკანასკნელს ნომერში დასტამბულია წერილი თეიმურაზ ჰიჰინაძისა. ავტორი შეეხება რა ჩვენის ზოგიერთ ინტელიგენტის უკულმართობას, მასთან ერთად სრულებით სამართლიანად ჰკიცხავს იმ სოფლის მასწავლებელთაც, რომელნიც, რაღაც მოსაზრებით, მავნებლად სთვლიან ბავშვებისთვის ქართულის ენის სწავლებას. შემდეგ ავტორს მოჰყავს რუსეთის გამოჩენილი პედაგოგის უშინსკის სიტყვები შესახებ იმისა, თუ რამდენად საჭიროა დედაენის სწავლება ბავშვებისათვის:

> „თუ შკოლა დედა-ენაზე არ ასწავლის, ის ვერ გაიდგამს ფესვს ხალხის ცხოვრებაში და სასარგებლო ნაყოფს ვერ მოიტანს; ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალ თაობას ერისას. ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,—ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ქრება,—ქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს,—ხალხიც ცოცხალია; და ამისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და მის დასაბამიდან დატოვებული განძი. წაართვით ხალხს ყოველიფერი—და ის ყოველიფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ თუ წაართვით ენა,—ის თავის დღეში ვეღარ შექმნის მას; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა თვით ხალხიც".
>
> სწავლება, განაგრძობს წერილის ავტორი, დედა-ენაზე არამც თუ სასოფ-შკოლებში, არამედ საქალაქო შკოლებშიაც უმაღლესად და დაურღვეველ საჭიროებათ ცნობილია წამებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორეს სიტყვით 1864 წ. 30 აგვისტოს გამოცემული უკაზით: „სამოსწავლო გამგეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა პოლიტიკური განძრახვის საშუალებათ: იგინი განათლებას მიუდგომელათ უნდა ემსახურებოდენ და ყოველს პირველ დაწყებით სასწავლებელში სწავლა უნდა იყოს დედა-ენაზე" და სხ.

ამბობს-რა ავტორი ამას, შემდეგ ასახელებს მაგალითს, მაგალითს უსინიდისო მოქმედებისას სოფელ ხეთის (სამეგრელოში) მასწავლებლისას, რომელსაც გლეხების კითხვაზედ: რატომ ჩვენ-მიერ გახსნილ სასწავლებელში ქართულს ენას არ ასწავლითო, ასე მიუმართავს მათთვის:

> „ქართული ენა, დედა-ენა, საჭირო არ არის ჩვენთვის, დედა-ენის სწავლება დროს დაკარგვაა, ის ყოვლად გამოუსადეგარია ჩვენთვის, დედა-ენის და რუსულის სწავლება ბოვშებს ორივე ერთათ არ შეუძლია, ტვინს აუბნევს და გამოაყრუებს ბაღნებს. ჩვენთვის მარტო რუსულია საჭირო, ხომ ხედავთ ქართულს არსად არ ხმარობენ, რადგანაც უნაყოფოა ის ჩვენთვისო".

როგორ მოგწონთ, ბატონებო, ამისთანა ტვინ-გალაყებულ მასწავლებელთა ქადაგება?!

—

აი რას იუწყება დეპეშით ,,სტანდარდის" კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტი იქ მომხდარ უწესოებისა და სომხების საიდუმლო შეთქმულობის შესახებ:

> ეხლა-კი უარს ვერავინ იტყვის, რომ სომეხთა „აჯანყება სტამბოლში" სომეხ-ანარხისტთა „ხინჩაკ"-თა წაქეზებით არ მომხდარიყოს, რომელთაც გამოიწვიეს აგრეთვე წარსული შფოთი და, როგორც „ფიქრობენ, თვით სასუნის აჯანყებაცაო.

მოჰყავს-რა ეს დეპეშა, შეჰნიშნავს რედაქცია ხსენებულის ორგანოსი:

> საინტერესოა, ვიცოდეთ რამდენად აქეზებდა ასეთ მისწრაფების დროს მათ ინგლისის სიმპატია და ან როგორ სარგებლობდნენ სომხები ინგლისის ფულითაო.

მეტად გულუბრყვილოდ შეჰნიშნავს ამას გაზეთიო, ამბობს ამის შესახებ გაზ. ,,ნოვოე ვრემია" და დასძენს:

> „ხინჩაკის" პირველი ორგანო, რომლის ამაღელვებელი წერილებიც მრავლად გავრცელებულია ოსმალეთში, ლონდონში იბეჭდება.

—

არზრუმის სომეხთა არხიეპისკოპოსს შემდეგი წერილი გაუგზავნია ლორდის სოლსბერისათვის:

> ნება მომეცით გადმოგცეთ, თუ როგორ გემუდარებათ სომხობა ჩემის ეპარქიის ყველა მხრიდგან და ითხოვს შემწეობას. ოსმალეთის მთავრობის მტრობითა და მხეცურ საქციელით ყველა სრულს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.
>
> სრულიად გულწრფელად და მადლობის გრძნობით აღვნიშნავთ იმას, რომ მათის უდიდებულესობის მთავრობა ყოვლად პატიოსნურად და ჰუმანიურად სცდილობს მოგვეცეს რეფორმანი, რომელნიც ჩვენ ასე ძალიან გვიჭირს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ, რომ ყოველი დაგვიანებული წამი გამოიწვევს ათასობით ადამიანის მსხვერპლს, რომელთაც სასტიკის სიკვდილითა სჯიან;

დავივიწყოთ ის, რომ ათასობით ქალთ გვიუპატიურებენ, თუნდაც სულ არა ვთქვათ-რა იმაზედ, რომ მრავალი სომეხთა სოფელი მოაოხრეს და დღეს ქვის გროვასა და მტვერს-ღა წარმოადგენენ იგინი.

ის, რაც გუშინ სასუნში მოხდა, დღეს კემახში ხდება, და ხვალ-კი მთელი ჩვენი უბედური მხარე მოოხრდება, რომელიც დღეს მთლად დაუძლურებულია ამ სიმხეცისა და მტარვალობის უღელ ქვეშ. ნუ-თუ-ღა უნდა ვუცადოთ იმ დროს‘ ვიდრე მთელი სომხეთი (?) არ მოოხრდება ცეცხლითა და მახვილითა, ნუ-თუ-ღა მის შვილთა უკანასკნელი სისხლიც უნდა დაიღვაროს, რომ დაგვიანებულს დახმარებას ვეღირსოთ? სასოწარკვეთილი სომხობა მოილტვის თქვენდამი და შეგღაღადებთ: შეგვიბრალეთ! დაგვიხსენით!

გემუდარებით: შეგვიბრალეთ! იქნება ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყოს საქმე. დაგვიხმარეთ, დაგვიხსენით—ან არა და დავიღუპებითო.

◆

უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

რკინის გზის მესტრე მაიმუნი. სამხრეთ აფრიკაში ერთს რკინის გზის მსახურს ფიქრათ მოუვიდა თავისს თანაშემწეთ მაიმუნი გაეხადნა,—ადგა და ასწავლა მაიმუნს, როგორ უნდა გადატრიალებინა ხოლმე ისარი მატარებლების გავლის დროს. როგორც კი მატარებელს თვალს მოჰკრავდა, მაიმუნი მაშინვე ისარს მიჰკარდებოდა ხოლმე და, წარმოიდგინეთ, არც ერთხელ არ უღალატნია მას თავისის მოვალეობისათვის. მიუხედავად ამისა იძულებულნი გახდნენ მაიმუნი სამსახურიდგან გადაეყენებინათ, რადგანაც ბევრს მგზავრს ძალიან ეშინოდა, როდესაც ხედავდა, რომ თავისი და სხვა მგზავრების ბედიც მაიმუნის ხელთ იყო. „ამერიკ. ნატურ.“-ს, მოჰყავს-რა ეს ამბავი, ძალიან უკვირს, რად უნდა ეშინებოდათ მოგზაურთ და ასეთს შიშს მათს ისტერიულს ტემპერამენტს აწერს; თუმცა მართალი რომ ითქვას, ცოტა არ იყოს, დიდად საეჭვოა, რომ მაიმუნმა ერთხელაც არის არ იცელქოს და იმათ ხომ საშინლად უყვართ ასეთი ცელქობა.

◆

შემოწირულება.

—

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულს გაზეთში და გამოუცხადოთ უდიდესი მადლობა შემომწირველთ, რომელთაც აღმოგვიჩინეს შემწეობა ფულით და ჭირნახულით სოფ. საღოლაშნის ულუმბის ღვთის-მშობლის ეკლესიის განახლებისათვის.

აი სია შემომწირველთა:

წაღვლელმა მღვდელმა სალარიძემ 1 კოდი პური, ქვრივმა თინათინ ალხაზიშვილისამ 2 კოდი პური, კნეინა ლიზა ამირეჯიბისამ 2 კოდი პური, თავ. შალვა ჯიბრეილის ძემ ციციშვილმა 1 კ. პური, კოსტანტინე ვასილის ძე კალატოზოვმა 5 კ. პური, აბელ აბელის ძე კალატოზიშვილმა 3 კოდი პური, მაიკო ციმაკურიძისამ 1 კოდი ქერი, კნიაჟნა მარიამ ამირეჯიბისამ $^1/_2$ კ. ქერი, მღვდელმა თეოდორე ყიფშიძემ 1 კ. პური, ნიკო სვიმონის ძე იშხნელმა 1 კოდი პური. სამსონ სვიმონის ძე იშხნელმა 6 ჩანახი პური, ვანო იშხნელმა $^1/_2$ კოდი ქერი, სანდრო იშხნელმა ერთი კოდი პური, ჩიტო კალატოზიშვილმა 1 კოდი პური, სვიმონ კალატოზიშვილმა 1 კოდი ქერი, ნინო ამირეჯიბისამ 2 კოდი პური, კნ. დარია გიორგის ასულმა ამირეჯიბისამ 3 კოდი პური, ივანე გრიგოლის ძე ალხაზიშვილმა 2 კოდი პური, სოფ. ქვენა ტკოცაში მცხოვრებლებმა $^1/_2$ კ. პური და 8 კ. და 6 ჩან. ქერი, სოფ. დირბში მცხოვრებლებმა 3 კ. და 5 ჩანახი პური. სოფ. ბროლოსანში მცხოვრებლებმა გლეხებმა 1 კოდი პური, სოფ. წაღვლში მცხოვრებლებმა გლეხებმა 14 კ. პური, სოფ. აძვისში მცხოვრებლებმა 1 კ. და 1 ჩან. პური, ს. საღოლაშენში მცხოვრებლებმა გლეხებმა 2 კ. პური, სოფ. არადეთში მცხოვრებლებმა გლეხებმა 2 კ. და 6 ჩან. პური და 1 კ. ქერი, სოფ. წვერში მცხოვრებლებმა გლეხებმა 2 კ. პური და 2 ჩან. ქერი.

ეს ზემოხსენებული ჭირნახული გაიყიდა, რომელმაც შეადგინა ფულად 158 მან. და 10 კაპ.

თავ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბმა 50 მან., ბრეთის ყმაწვილებმა 10 მან. 83 კაპ., ალექსანდრე თეოდორეს ძე ყიფშიძემ 3 მან., ჟორჟე მამაცაშვილმა 1 მან., ვლადიმერ გვახარიამ 3 მ., კნეინა ეფემია ამირეჯიბისამ 5 მან., თავ. ლევან ამირეჯიბმა 10 მან., თავ. დავით ნიკოლოზის ძე ციციშვილმა 1 მან., თავ. სოსიკო ამირეჯიბმა 10 მან., ეკატერინე ხუდადოვის ასულმა 1 მან., ვანო სალარიძემ 1 მან., თავ. მიხეილ შარვაშიძემ 3 მ., დურმიშხან შალვას ძე ჟურულმა 3 მ., იასონ ფოცხვერაშვილმა 1 მ., გოლა მაისურაძემ 1 მ., კნ. ქეთევან სვიმონის ასულმა ციციშვილისამ 40 მან., თ. ლუარსაბ როსტომის ძე ბეგთაბეგიშვილმა 10 მან., მიხეილ ტერ-აკოფოვმა 1 მ, ოქრომჭედელმა იოსებ კურტანიძემ 5 მან., თავ. ნიკოლოზ ირაკლის ძე ციციშვილმა 5 მ., თავ. რეზო ამირეჯიბმა 3 მან., ალალო თუთაევმა 3 მან., ილია მაჭავარიანმა 50 კაპ., მგზავრმა გლეხებმა 30 კაპ.

ბოქაულმა ტერ-აკოფოვმა გარდმოგვცა ხაშურელების, სურამისა და გომელების სხვადა-სხვა პირთაგან შემოწირული 50 მან. სულ შეადგენს ფულად და ჭირნახულად შემოწირულს 379 მან. და 73 კ.

სარდიონ ამირეჯიბი.

27 სექტემბერი, 1895 წ,

◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	»
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა.	„	70
მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე.		10
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა.	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე.	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . .	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე . . .	„	25
მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . .	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე.	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	»	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
Ш вып. . . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . .	»	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . .		60
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . .	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Матеріалы для русской исторіи, его-же. . .	3	
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	05

დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. დ დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, ს[illegible]ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)

„ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,	5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,	. . . .	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,	3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,	2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,	1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება ამის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერი, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს ხოლო წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოთი 6-დან 7¹/₂ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3 го Октября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.